

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “გუდლაინი” დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით ასევე საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალური აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს 16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში,

როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეული თვითღირებულების მოდელი.

#### ცვეთა

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენი ღირებულებას შორის.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

- მანქანა დანადგარები 20 %
- სხვა ძირითადი საშუალებები 15 %
- სატრანსპორტო საშუალებები 20%
- შენობა ნაგებობები 2%

#### სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწვევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

#### ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან და ნაღდი ნაშთებისაგან.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა თუ:

მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან/და მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისათვის;

მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადში;

აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა თუ:

მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;

ძირითდად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;

მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში; არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშგებო

პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

#### შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით.

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება "კომპანიაში" ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

#### ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

შეკვეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

#### იჯარა

ბასს17-ის მიხედვით როდესაც კომპანიას აქვს ისეთი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა დანარჩენ შემთხვევაში საოპერაციო იჯარად.

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგება კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად კომპანიის იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯებად შესაბამისი წლის მოგება- ზარალში.

#### გადასახადები

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღე-ს გარეშე წმინდა ღირებულებით. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თვის მოთხოვნათა შესაბამისად.

#### საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ არსებობს საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან კორექტირებას ფინანსური ანგარიშგება.

#### ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისთვის;
- ბ) პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;

ე) განმარტებით შენიშვნებს სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                                   | 31.12.2022      | 31.12.2021.    | 31.12.2020     |
|-----------------------------------|-----------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                   |                 |                |                |
| გრძელვადიანი აქტივები             |                 |                |                |
| ძირითადი საშუალებები              | 5265518         | 5379954        | 5355040        |
| სხვა მისაღები აქტივები            |                 |                |                |
| სულ გრძელვადიანი აქტივები         | <u>5265518.</u> | <u>5379954</u> | <u>5355040</u> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>         |                 |                |                |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 47288           | 17042          | 63             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 149361          | 140915         | 99452          |
| საგადასახადო აქტივები             |                 |                |                |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები  | 56070           | 85150          | 112679         |
| სულ მიმდინარე აქტივები            | <u>5518237</u>  | <u>5623061</u> | <u>5567234</u> |

## სულ აქტივები

### საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

#### საკუთარი კაპიტალი

|                                |                 |                |                |
|--------------------------------|-----------------|----------------|----------------|
| გაუნაწილებელი მოგება ზარალი    | 5440900         | 4920982        | 4065722        |
| სულ საკუთარი კაპიტალი          | <u>5440900.</u> | <u>4920982</u> | <u>4065722</u> |
| მოკლევადიანი ვალდებულებები     | 9770            | 637760         |                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 62601           | 64319          | 1501512        |
| საგადასახადო ვალდებულებები     |                 |                |                |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | <u>77337.</u>   | <u>702079</u>  | <u>1501512</u> |

|                                    |                 |                |                |
|------------------------------------|-----------------|----------------|----------------|
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | <u>5518237.</u> | <u>5623061</u> | <u>5567234</u> |
|------------------------------------|-----------------|----------------|----------------|

დირექტორი:

ელისო მარგველაშვილი

ბუღალტერი:

თინათინ მაწკებლაძე

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

|                                     | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|-------------------------------------|------------|------------|
| ამონაგები                           | 2774210    | 1670555    |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება |            |            |
| საერთო მოგება                       | 2774210    | 1670555    |
| სხვა შემოსავალი                     |            |            |
| ადმინისტრაციული დანახარჯები         | 338470     | 128542     |
| სხვა ხარჯები                        | 977941     | 686753     |
| მოგება ზარალი დაბეგვრამდე           | 1457799    | 855260     |
| მოგების გადასახადი                  | 140682     |            |
| საანგარიშო წლის მოგება              | 1317117    | 855260     |

დირექტორი:

ელისო მარგველაშვილი

ბუღალტერი:

თინათინ მაწკეპლაძე

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

საწესდებო კაპიტალი გადაფასების რეზერვი გაუნაწილებელი მოგება-ზარალი სულ

|                                        |         |
|----------------------------------------|---------|
| 31.12.2020 ნაშთი                       | 4065722 |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ზარალი | 855260  |
| გაცემული დივიდენდ                      |         |
| 31.12.2021 ნაშთი                       | 4920982 |

|                                        |        |
|----------------------------------------|--------|
| საწესდებო კაპიტალის შემცირება          |        |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ზარალი | 855260 |

|                                        |         |
|----------------------------------------|---------|
| 31.12.2021 ნაშთი                       | 4920982 |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ზარალი | 1317117 |
| გაცემული დივიდენდ                      | 797199  |
| 31.12.2022 ნაშთი                       | 5440900 |

|                                        |         |
|----------------------------------------|---------|
| საწესდებო კაპიტალის შემცირება          |         |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ზარალი | 1317117 |

დირექტორი:

ელისო მარგველაშვილი

ბუღალტერი:

თინათინ მაწკეპლაძე

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

|                                                                         | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|-------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                | 3699829    | 1002596    |
| კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები                                     |            |            |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფული                                            | 3728909    | 1030125    |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფული                                           |            |            |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები                               |            |            |
| გადახდილი გადასახადები                                                  |            |            |
| ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე                      |            |            |
| წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან                        |            |            |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან                              |            |            |
| აღებული სესხი                                                           |            |            |
| სესხის დაბრუნება                                                        |            |            |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                            |            |            |
| საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები       |            |            |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან                                 |            |            |
| ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავლი                                  |            |            |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები                        |            |            |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა                     |            |            |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის | 85150      | 112679     |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის      | 56070      | 85150      |

დირექტორი: ელისო მარგველაშვილი

ბუღალტერი: თინათინ მაწკებლაძე